საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლავრენტი მაღლაკელიძის* ---------- **შეფასების შედეგი:** 92

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	17	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	92	100

სახელი, გვარი: ქეთევან ცინცაძე

თარიღი: 28.05.21

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის

ლავრენტი მაღლაკელიძის

შეფასება

28 მაისი , 2021 წელი ქ. თბილისი

<u>კანდიდატის - ლავრენტი მაღლაკელიძის</u> მიერ <u>წარმოდგენილი დოკუმენტაციის</u> (ავტობიოგრაფია; სამართლებრივი დოკუმენტები/სერთიფიკატები) და <u>საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის</u> (რეკომენდაციები; რესპონდენტთა (კანდიდატთან სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი კოლეგების და სასამართლოს აპარატის თანამშრომელთა შეფასებები) მიერ შევსებული კითხვარები; ინფორმაცია კანდიდატის პროფესიული აქტივობების შესახებ; ინფორმაცია კანდიდატის მიმართ დაწყებული დისციპლინური დევნის/ არსებული დისციპლინური სახდელების შესახებ; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია კანდიდატის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ; ინფორმაცია კანდიდატის პოლიტიკური აქტივობების შესახებ; ინფორმაცია კანდიდატის რომელიმე საქმეში მხარედ მონაწილეობის შესახებ; კანდიდატის ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაცია; სს „კრედიტინფო საქართველოს" მონაცემები კანდიდატის დახურული და მიმდინარე კრედიტების თაობაზე; სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემები კანდიდატის შემოსავლის წყაროს, აქტივებისა და საგადასახადო ვალდებულებების შესახებ; ინფორმაცია - მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან; უძრავი ქონების რეესტრიდან; სტატისტიკური ინფორმაცია მოსამართლეთა წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის თაობაზე - განხილვის ვადები და სტაბილურობა; ინტერნეტსივრცეში არსებული ინფორმაცია კანდიდატის შესახებ; ინფორმაცია კანდიდატის სოციალურ ქსელში აქტივობების და საჯარო გამოსვლების შესახებ და ა.შ) <u>შესწავლისა</u> და <u>კანდიდატთან ჩატარებული საჯარო გასაუბრების შედეგების საფუძველზე,</u> „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, განხორციელდა **კანდიდატის - ლავრენტი მაღლაკელიძის** (სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი) შეფასება „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულის კანონის 36[3] მუხლით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების კრიტერიუმისა და ამავე კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული კომპეტენტურობის კრიტერიუმის შესაბამისად.

მოკლე ინფორმაცია კანდიდატის შესახებ

კანდიდატი - ლავრენტი მაღლაკელიძე

ასაკი: 40 წელი

განათლება: დოქტორის აკადემიური ხარისხი 2013 წ. (თსუ) დოქტორის აკადემიური ხარისხი 2012წ. (ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტი, გერმანია)

სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: 15 წელი

სამუშაო ადგილი: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე

1. კანდიდატის ლავრენტი მაღლაკელიძის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

1.1 პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულის კანონის 36³ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის – როგორც მოსამართლისა და მოქალაქის – პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული კანდიდატის შესახებ რეკომენდატორებისა და რესპონდენტთა მხრიდან შევსებული კითხვარები; კანდიდატის ქონებრივი დეკლარაცია; სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემები; ინფორმაცია სს „კრედიტინფო საქართველოდან"; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია კანდიდატის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ.

რეკომენდატორები მიუთითებენ, რომ კანდიდატი ლავრენტი მაღლაკელიძე არის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი. აქვს სამართლებრივი დასაბუთების მაღალი დონე გამოარჩევენ კანდიდატის დადებით თვისებებს: კეთილსინდისიერებას, ეთიკურობის მაღალ სტანდარტს, სიმშვიდეს, პროფესიონალიზმს, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას, ერთ-ერთი რეკომენდატორი უთითებს, რომ მის მიერ

მიღებული რამოდენიმე გადაწყვეტილება ქრესტომათიული ხასიათისაა და ისწავლება, გაირჩევა როგორც სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, ისე განიხილება აკადემიურ კონფერენციებზე. რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის კრიტერიუმს.

კანდიდატს ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია, არის კეთილსინდისიერი გადამხდელი. 2017 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ნოემბრის ჩათვლით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, ლავრენტი მაღლაკელიძეს ზემოაღნიშნულ პერიოდში ადმინისტრაციული სახდელი არ დაკისრებია.

კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის ფარგლებში, რაიმე ტიპის ნეგატიური ინფორმაცია, კანდიდატის - პატიოსნების, კეთილსინდისიერების ან სხვა მახასიათებლის ნაწილში არ გამოვლენილა, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელს.

1.2 დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

<u>„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.</u>

კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციიდან (რეკომენდატორები; რესპონდენტები), მათ შორის, პოლიტიკური აქტივობების თუ ინტერნეტ სივრცეში მის შესახებ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე, კანდიდატის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში დამოუკიდებლობის პრინციპის ან რომელიმე მხარის მიმართ მიკერძოების ფაქტი არ გამოვლენილა. ამასთან, მართალია ინტერნეტ-სივრცეში მოიპოვება რამდენიმე სტატია მოსამართლის მიერ განხილულ საქმესთან, ასევე პროკურატურაში მუშაობის პერიოდში არსებულ საქმეებთან დაკავშირებით, თუმცა კონკრეტული ფაქტი ან გარემოება, რომელიც რეალურად ეჭვქვეშ დააყენებდა მოსამართლის დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობას და სამართლიანობას არ გამოვლენილა. ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი - ლავრენტი მაღლაკელიძე სრულად აკმაყოფილებს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის მახასიათებელს.

1.3 პიროვნული და პროფესიული ქცევა

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე, მათ შორის, რეკომენდატორთა/რესპოდენტთა მიერ შევსებული კითხვარების და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა, მივიჩნევ, რომ კანდიდატი - ლავრენტი მაღლაკელიძე სრულად აკმაყოფილებს პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელს.

1.4 პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა. მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, (რეკომენდაციები, კითხვარები) კანდიდატის პროფესიული და პიროვნული რეპუტაცია ხასიათდება დადებითად, ამასთან, ინტერნეტ სივრცეში მოპოვებული ინფორმაციის ფარგლებში, რაიმე ტიპის კონკრეტული ფაქტი, რომელიც უარყოფითად აისახებოდა კანდიდატის რეპუტაციაზე არ მითითებულა, ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი - ლავრენტი მაღლაკელიძე სრულად აკმაყოფილებს ამ მახასათებელსაც.

1.5 ფინანსური ვალდებულება

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ფინანსური ვალდებულების მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ. ფინანსური ვალდებულების შემოწმების

მიზანია, შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას.

კანდიდატის ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციის, სს „კრედიტინფო საქართველოს" მონაცემების, სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემების, მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან და უძრავი ქონების რეესტრიდან არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და კანდიდატის ქონებრივი ინტერესები წინააღმდეგობაში არ მოდის მართლმსაჯულების ინტერესებთან, შესაბამისად კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმსაც.

დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ

გამომდინარე იქიდან, რომ კანდიდატმა - ლავრენტი მაღლაკელიძემ, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ხუთივე მახასიათებელი დააკმაყოფილა სრულად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი ლავრენტი მაღლაკელიძე - სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

2. კანდიდატის ლავრენტი მაღლაკელიძის - შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

2.1 სამართლებრივი ნორმების ცოდნა

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნის დონე.

აღნიშნული მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასებისას, მხედველობაში იქნა მიღებული კანდიდატის მიერ საჯარო გასაუბრების პროცესში გამოვლენილი სამართლებრივი ნორმების ცოდნა და მის მიერ წარმოდგენილ სასამართლო გადაწყვეტილებებში გამოყენებული სამართლებრივი ნორმების რელევანტურობა.

საჯარო გასაუბრების პროცესში, კანდიდატი ლავრენტი მაღლაკელიძე მის მიმართ არსებულ შეკითხვებს პასუხს სცემდა სრულყოფილად, დასაბუთებულად და დამაჯერებლად. გასაუბრების პროცესში კანდიდატმა გამოავლინა სამართლებრივი საკითხების სიღრმისეული ცოდნა. კანდიდატი კონკრეტულ კითხვებზე პასუხის გაცემისას, შემოიფარგლებოდა არა ვიწრო განმარტებით, არამედ მსჯელობდა კონკრეტული სამართლებრივი საკითხის თეორიულ თუ პრაქტიკულ მხარეებზე, ახორციელებდა მითითებას და შედარებით ანალიზს როგორც შიდა სასამართლო პრაქტიკაზე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე, ისე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებებზე.

კანდიდატმა იმსჯელა სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის თავისებურებებზე; სისხლის სამართლის საერთაშორისო დანაშაულებზე და რომის სტატუტზე; სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს როლზე; ირიბი ჩვენების მტკიცებულებად მიჩვენის საკითხზე; სამოსამართლო სამარათლზე, როგორც სამართლის წყაროზე; საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლზე (პიროვნული განვითარების უფლება); დანაშაულის პროვოცირებასა და ფარული აგენტის ინსტიტუტზე; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლზე; ტრაგიკულ კოლიზიის არსზე და შესაბამის მაგალითებზე; საპროცესო შეთანხმების თავისებურებებზე; დაზარალებულთა უფლებების ფარგლებზე მოქმედ სისხლის სამართლის პროცესში; მედიაციის ინსტიტუტზე სისხლის სამართლის პროცესში; ადამიანის პატივსა და ღირსებაზე და ა.შ.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სასამართლო გადაწყვეტილებაში/სამეცნიერო სტატიებში/პუბლიკაციებში შესაბამისი სამართლებრივი ნორმები გამოყენებულია სწორად და თანმიმდევრულად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების თუ შესაბამისი სამართლებრივი პრობლემის რელევანტურად.

ამდენად, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საჯარო გასაუბრების პროცესში კანდიდატი სამართლებრივ საკითხებზე პასუხს სცემდა ძირითადად სრულყოფილად და სიღრმისეულად, სამართლებრივი ნორმების ცოდნის მახასიათებელში, იგი უნდა შეფასდეს - 18 ქულით (90%).

2.2 სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებელი

<u>„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა, მოსამართლის ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება.</u>

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი 2 სასამართლო განაჩენის (განხილვის საგანი - 1. - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილი; 2. განხილვის საგანი - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტი), გაცნობის შედეგად ირკვევა, რომ წარმოდგენილი განაჩენები დასაბუთებულია, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. განმტკიცებულია, შესაბამისი მატერიალური და პროცესუალური ნორმებით.

ამასთან, საჯარო გასაუბრების პროცესში კანდიდატმა გამოავლინა სამართლებრივი დასაბუთებისა და ანალიტიკური აზროვნების ძალიან კარგი უნარი (2.1. მახასიათებელში წარმოდგენილი მაგალითები).

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას, კომპეტენციის კუთხით მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, კანდიდატის იურიდიულ სფეროში მუშაობის 15 წლიანი გამოცდილება, მათ შორის, 4 წლიანი სამოსამართლო გამოცდილება.

ამდენად, კანდიდატის სამუშაო გამოცდილების, წარმოდგენილი განაჩენებისა და საჯარო გასაუბრების გათვალისწინებით, აღნიშნული მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 18 ქულით (95%).

2.3. წერის უნარი

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, წერის უნარის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სასამართლო განაჩენის და სამეცნიერო სტატიების/სამეცნიერო დოკუმენტაციის, კერძოდ, 2 სასამართლო განაჩენის (1. კვალიფიკაცია - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილი; 2. კვალიფიკაცია - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" პუნქტი) და სამეცნიერო სტატია/პუბლიკაციების - (1. რეცენზია სადისერტაციო ნაშრომზე: „სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართის მიხედვით); 2. „დასკვნა დოქტორანტის კოლოქვიუმის თემაზე:" გაუფრთხილებლობის ფსიქოლოგიური ასპექტები"; 3. „ნასამართლობა, როგორც ქმედების შემადგენლობის დამაფუძნებელი გარემოება და მისი გაქარწყლების პრობლემა დანაშაულთა ერთობლიობის დროს"; 3. „ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე"), გაცნობის შედეგად, მივიჩნევ, რომ კანდიდატის მიერ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები გასაგები ენით არის ჩამოყალიბებული, დოკუმენტები არის დასაბუთებული, სათანადოდ ორგანიზებული, დოკუმენტებში არსებული ფაქტობრივი გარემოებები თუ სამართლებრივი შეფასებები ჩამოყალიბებულია სტრუქტურირებულად და ლოგიკური თანმიმდევრობით, კანდიდატის მიერ უმეტესად დაცულია მართლწერისა და პუნქტუაციის წესები.

ამდენად, მიმაჩნია, რომ აღნიშნული მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 17 ქულით (85%).

2.4 ზეპირი კომუნიკაციის უნარი

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულის კანონის 36[3] მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის

მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

საჯარო გასაუბრების შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კანდიდატს გააჩნია კარგი ზეპირი კომუნიკაციის უნარი, მეტყველებს გამართულად, გააჩნია საკუთარი აზრის გადმოცემისა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, რის გამოც მისი შეფასება უნდა განხორციელდეს - 15 ქულით (100%).

2.5 პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, პროფესიული თვისებების მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის, მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სასამართლო სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.

აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას, მხედველობაში იქნა მიღებული რესპოდენტთა მოსაზრებები კანდიდატის პროფესიული თვისების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის შესახებ, ასევე ინფორმაცია კანდიდატის მიმართ დისციპლინური სახდელის და დისციპლინური დევნის არ არსებობის შესახებ.

ამასთან, აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას, მხედველობაში იქნა მიღებული კანდიდატის მიერ საქმის განხილვის/სასამართლო გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია (2017 წლის 1 ნოემბერი - 2020 წლის 1 ნოემბრის პერიოდის):

საქმის განხილვის ვადების დაცვა -_ ვადის დაცვით -100%

გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით -100%.

გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა: უცვლელი - 98.5%; შეცვლილი -1.5%

ამდენად, არსებული სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი არის ძალიან პროდუქტიული, სწრაფი, აქვს სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი, სრულად იცავს საპროცესო ვადებს, მისი გადაწყვეტილებები არის ფაქტობრივად სრულად სტაბილური.

ამდენად, ზემოაღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე კანდიდატი უნდა შეფასდეს - 14 ქულით (დაახლოებით 95%).

2.6 აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

კანდიდატის შესახებ არსებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატს 2003 წელს ჩაბარებული აქვს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაიო გამოცდა, ხოლო 2014 წელს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

კანდიდატი ლავრენტი მაღლაკელიძე ეწევა აკადემიურ საქმიანობას. კანდიდატს აქვს სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

2007 წლიდან იყო - ასისტენტ- პროფესორი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო 2019 წლის პირველი ივლისიდან არჩეულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

2007 წლის სექტემბრიდან - 2008 წლის მაისამდე იყო ქართულ/ამერიკულ უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მოწვეული პროფესორი.

2008 წლის იანვარ-ივლისში იყო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მოწვეული პროფესორი.

2013 წლიდან არის ასოცირებული პროფესორი - სულხან -საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტში.

2014 წლის მაისიდან 2015 წლის ივლისამდე იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სრული პროფესორი.

ამასთან, პროფესიული განვითარების მიზნით მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ტრენინგ/სემინარში, კერძოდ:

- სამეცნიერო მივლინება - ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში - თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკის საკითხების განხილვა - თსუ.

- ქართველ სისხლის სამართლის მეცნიერ-იურისტთა პირველი პროფესიული შეხვედრა თსუ, ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტი, ჰუმბოლტის სახელობის ბერლინის უნივერსიტეტი (გერმანია).

- შეხვედრა ევროპული სისხლის სამართლის განვითარებისათვის საქართველოში - თსუ;

- თანამედროვე სისხლის სასამართლოს დოგმატიკის საკითხები - თსუ, ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტი, ჰუმბოლტის სახელობის ბერლინის უნივერსიტეტი (გერმანია).

- თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკის საკითხები - ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტი (გერმანია).

- საერთაშორისო კონფერენცია - თანამედროვე სისხლის სამართლის იუსტიციის პრობლემები თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი, ქ. ბერლინი ჰუმბოლტის სახელობის უნივერსიტეტი (გერმანია).

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მათ შორის, არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკა და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები -იუსტიციის სკოლა

- გერმანული სასწავლო სისტემის მოწყობა და მუშაობის წესი - სტაჟირება გერმანია ბონი

- ტრენინგი თემაზე სწავლების მეთოდოლოგია - USAID და სხვა.

ამდენად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ლავრენტი მაღლაკელიძე ეწევა აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას, ასევე მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ტრენინგ/სემინარში როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, აღნიშნული მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 5 ქულით (100%).

2.7 პროფესიული აქტივობა

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, პროფესიული აქტივობის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა, ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე და სხვა.

კანდიდატს გამოქვეყნებული აქვს არაერთი სამეცნიერო სტატია/არის არაერთი სახელმძღვანელოს თანაავტორი, კერძოდ:

- სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის შინაარსი და თავისებურებები'' (სტატია კრებულში.)

- გამოძიების შინაარსი და თავისებურებები ქართული სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით. (სტატია კრებულში.)

- ბრალდებულის შეცდომაში შეყვანის გზით მოპოვებული ინფორმაცია და თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია ქართული და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით. (სტატია კრებულში.)

- ბრალდების უცვლელობის პრინციპის გაგება ქართული და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით. (სტატია კრებულში.)

- არაპირდაპირი (ირიბი) მტკიცებულებების მნიშვნელობა ქართული და საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით. (სტატია კრებულში.)

- შეცდომა ქმედების შემადგენლობის დამამძიმებელ გარემოებებში (განზრახ მკვლელობის უმართლობასთან მიმართებით.) (სტატია კრებულში.)

- ბრალის გენეზისი ქართულ სისხლის სამართალში. (სტატია კრებულში.)

- განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი. (მონოგრაფია)

- განზრახვის ცნების ზოგიერთი პრობლემისათვის თანამედროვე გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში. (სტატია კრებულში.)

- სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, ავტორი: პროფ. მერაბ ტურავა (სახელმძღვანელოს სამეცნიერო რედაქტორი.)

- სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, ავტორი: პროფ. ირაკლი დვალიძე. (სახელმძღვანელოს სამეცნიერო რედაქტორი.)

- სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული. (კრებულის სამეცნიერო რედაქტორი.)

- ევროპული სისხლის სამართალი, სახელმძღვანელოს თანაავტორი.

- მართლწინააღმდეგობის შეგნების მნიშვნელობა განზრახი და გაუფრთხილებლობითი დელიქტების დროს. - სტატიის ავტორი

- სამართლებრივი შეცდომისა და მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული შეცდომის ურთიერთ გამიჯვნის საკითხისათვის - სტატიის ავტორი

- დანაშაულის სისტემა საერთაშორისო მატერიალური სისხლის სამართლის მიხედვით - სტატიის ავტორი.

ამასთან, კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სემინარში, კონფერენციაში, სამეცნიერო მივლინებასა და სამეცნიერო კვლევაში, როგორც საქართველოში, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ამდენად, აღნიშნული მახასიათებლის მიხედვით იგი უნდა შეფასდეს - 5 ქულით (100%).

დასკვნა კანდიდატის - ლავრენტი მაღლაკელიძის კომპეტენტურობის შესახებ

თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებიდან გამომდინარე, კანდიდატი - ლავრენტი მაღლაკელიძე კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით უნდა შეფასდეს - 92 ქულით, კერძოდ:

1. სამართლებრივი ნორმების ცოდნა - 18 ქულა
2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 18 ქულა
3. წერის უნარი - 17 ქულა
4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 15 ქულა
5. პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში - 14 ქულა
6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა – 5 ქულა
7. პროფესიული აქტივობა - 5 ქულა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ქეთევან ცინცაძე